ბრილოს წყარო

ბრილი...
ბროლი დატბორილი,
უშრეტელი ვერცხლის წყარო,
წმინდა, როგორც ხალხის გული,
სადღაც ქართლში მოცინცხალობს,
შიგ ცის კალთა თუ ჩაირხა,
მოსჩქეფს,
მოშხეფს უთავებლად...
შესვი
პეშვი,
უკვდავი ხარ,
რაღად გინდა უკვდავება?
ერთს ვინდომებ:
ვით მინდორ-ველს
ესხურება ბროლის ცვარი,
ყოფილიყოს ჩემი სიტყვაც
ხალხის გულზე გადამწვდარი.
და ვით ხალხი -
ბროლის წყარომ,
ისი ხალხმა შემიწყნაროს,

წყაროსავით მეც მყოლოდეს
ბევრი, ბევრი მეგობარი,
რომ მასავით ვატრიალო
ლექს-წისქვილის მე ბორბალი...
და რომ ყველას, ყველას გული
იყოს წმინდა, როგორც არი
ოქროს ცვარი...

ნეტამც ნატვრა ამისრულდეს,
სანატრელი, მე რომ მინდა,
ამოდუღდეს წყაროები,
წკრიალა და გემოწმინდა.
ჩუხჩუხებდნენ კაშკაშებდნენ
თვით სამშობლოს გარისგრად,
ჩქარა,
ჩაქრა!

ბრილი...
ბროლი თუ ჩაირხა,
მოსჩქეფს,
მოშხეფს უთავებლხდუ
შესვი
პეშვი,
უკვდავი ხარ,
რაღად გინდა უკვდავება!